**სსიპ ეროვნული**
**სატყეო სააგენტო**

05 სექტემბერი 2025

GOV N 2475/ს

## სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების (კავშირგაბმულობის) სახაზო ნაგებობის განთავსებისთვის ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N 828 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ტყის კოდექსის 64-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33 ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, შპს „მაგთიკომი“-ს 2025 წლის 14 მაისის ED-25/05/14-007 წერილისა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 04 სექტემბრის N16664 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) იმერეთის სატყეო სამსახურის ტყიბულის სატყეო უბნის თერჯოლის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 100 $m^2$ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 33.14.31.383).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო